საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 2 19 00012715

01/04/2019

საქართველოს პარლამენტს

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის“ 117-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, დაჩქარებული წესით განიხილოთ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი (07-2/308/9), რომელიც მიმდინარე წლის 6 თებერვალს (N4508) საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული თხოვნა განპირობებულია იმ სამართლებრივ აქტებში ცვლილების დროულად განხორციელების აუცილებლობით, რის საფუძველზეც წესრიგდება სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება. უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დასრულებისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბერის №84/ნ ბრძანების მე-3 პუნქტი განსაზღვრავს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის სასწავლო წლის დასრულების თარიღს.

იქიდან გამომდინარე, რომ 2018-2019 სასწავლო წელი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის მთავრდება 2019 წლის 20 მაისს, სკოლის გამოსაშვები გამოცდების ორგანიზების მიზნით, მნიშვნელოვანია განხორციელდეს რიგი პროცედურები. აღნიშნული კი, თავის მხრივ, გულისხმობს სკოლის გამოსაშვები გამოცდების დაგეგმვას, გამოცდის პროცესის ორგანიზებას, რეგისტრაციისა და სხვა საჭირო ეტაპების განხორციელებას.

იმ შემთხვევაში თუ სკოლის გამოცდების გაუქმებისთვის ინიცირებული „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი არ იქნება დაჩქარებული წესით განხილული და მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე მიღებული, 2019 წლის გაზაფხულზე საჭირო გახდება სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება, ხოლო სკოლის გამოსაშვები გამოცდების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები ვალდებულნი იქნებიან ზემოაღნიშნული პროცედურებისთვის მზადება დაიწყონ უკვე 2019 წლის აპრილის თვიდან.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-6475/19
-01- 04 2019 წ. ფურც. 2

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA
ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ნათია მიქელაძე